ხელშეკრულება №79
სახელმწიფო შესყიდვის .შესახებ

ქ. გორი 12 ივნისი 2017 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი" (ს/კ417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი მახარე სორდიას (პ/ნ 48001005925) (შემდგომში – მიმწოდებელი), სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების, შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს!" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს საკუთარი სახსრებით მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV50112000).

2. ხელშეკრულების ობიექტი და საერთო ღირებულება

*2.1.*ხელშეკრულების ობიექტია მინდვრის სათიბი მანქანის შეკეთება.
2.2შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარებში).
2.3.შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 312.50 სამასთორემეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადების ჩათვლით. საშემოსავლო გადასახადს იხდის შემსყიდველი ორგანიზაცია ხელზე ასაღები თანხაა 250 (ორასორმოცდაათი) ლარი.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 20 ივნისის ჩათვლით.
3.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია:ქ.თბილისი ფეიქრების ქ.8.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.შესყიდვის ობიექტის მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ რომელიც დადასტურებული უნდა იქნას მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);
5.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.
5.3.ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1.შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;
უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
6.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:
-მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.3.მიმწოდებელი ვალდებულია:
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო 0.2%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

91.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

10.1.მხარეები თავისულდებიან განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის მომსახურეობის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის მომსახურეობის შესაბამისობის დადგენა ხელშერკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან .

11.2. ხელსეკრულების ინსპექტირებას და მომსახურეობის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი“ს მინდვრის მოვლის სპეციალისტი გიორგი მაისურაძე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტისმერიის ფეხბურთის კლუბი გორი”	ფიზ.პირი მახარე სორდია
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5	მის.ქ.თბილისი.ფეიქრების ქ.8.
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები:სს„საქართველოს ბანკი“
ბ/კოდი TRESGE22	ბ/კ BAGAGE
ს/კ 417874973	ანგ.GE74BG0000000277460800
	პირადი ნომერი 48001005925
დირექტორის მ/შ	
----------	----------
გია ისიანი	მახარე სორდია

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.გორი 12 ივნისი 2017 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს მიერ 2017 წლის 12 ივნისს დადებული N79 ხელშეკრულება ფიზ.პირი მახარე სორდიასთან (პირადი ნომერი 48001005925) მინდვრის სათიბი მანქანის შეკეთების მომსახურების გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელი გია ისიანი

მინდვრის მოვლის სპეციალისტი გიორგი მაისურაძე

შესყიდვების მენეჯერი სვეტლანა ზაუტაშვილი